საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კასპიური შურთხი

კასპიური შურთხი (Tetraogallus caspius, Gmelin, 1784), ფრინველთა გვარი ქათმისნაირთა რიგისა. გვხვდება მცირე აზიაში, მცირე კავკასიონზე, აღმოსავლეთით აღწევს ქოპეთ-დაღამდე. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი კ. შ. გვხდება გურიააჭარისა და თრიალეთის ქედებზე. მობუდარია. ვერტიკალურად ვრცელდება 3000 მ-მდე. ბუდეს იკეთებს მიწაზე – ქვებში ან კლდეებს შორის. დებს 8–10 მორუხო კვერცხს. კრუხობს 3 კვირას. იკვებება მცენარის თესლით, კვირტებით, ყლორტებით, კენკრით, ტუბერებით, აგრეთვე მწერებით. შეტანილი საქართველოს „წითელ ნუსხაში".

ა. ბუხნიკაშვილი